ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრი (თანამდებობის პირი) - ივანე ხაჩიძე
თანამდებობის დასახელება - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე
ფრაქციის დასახელება - ფრაქცია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა და იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრი
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) პარტიული სიით
საანგარიშო პერიოდი - 2021 წლის ნოემბრიდან- 2022 წლის 1 ნოემბრამდე
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე)

I. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა 11
საკრებულოს სხდომებზე დასწრება 10
2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა 11 მათ შორის დროებითი (კომისიების) ჯგუფი 4

კომისიის სხდომებზე დასწრება 10 მათ შორის დროებით (კომისიებში) ჯგუფში 4
3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა 6
ფრაქციის სხდომებზე დასწრება 4
4. საკრებულოს წევრის მიერ ინიციირებული საკითხები

2019 წელს ჩემი ინიციატივითა და „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ფრაქციის სახელით ინიცირებული იქნა საკრებულოს დადგენილების პროექტი - „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესი“, რომელიც საკრებულოს მიღებული იქნა დადგენილებით და რომლის მიზანიცაა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპოტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება, რაც ხელს შეუწყობს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, სამოქალაქო აქტიურობას, სპორტის გავრცელებული სახეობებისათვის ტრადიციების შენარჩუნებასა და მათ პოპულარიზაციას. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე საანგარიშო პერიოდში სპორტსმენები დაჯილდოვებული იქნა სულ რვაჯერ, ხოლო მწვრთნელები ხუთჯერ.

5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები

ჩემს მიერ საკრებულოს სხდომების დღის წესრიგით გათალისწინებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი იქნა მხარდაჭერილი, რომელსაც ხმა მისცა ჩვენმა პოლიტიკურმა უმრავლესობამ.

6. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა

7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა 25 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა 20-30 თითოეულ შეხვედრაზე
8. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები
- სოციალური საკითხები
- ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება
- ახალგაზრდული და სპორტის საკითხები
-სასმელი წყლის პრობლემა
9. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

მე, როგორც საკრებულოს წევრს, ყოველდღიურ რეჟიმში მიწევს მოქალაქეებთან ურთიერთობა და მათი პრობლემების მოსმენა, შესაბამისად, მერიის სამსახურებთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან კონსულტაციის შემდეგ შეძლებისდაგვარად ხდება ყოველი პრობლემური საკითხის მოგვარება.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდების საკითხი მეტად მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ქ. ლაგოდეხში ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად მოგვარებულია, სოფლებში უმეტეს ობიექტებს არ აქვთ სახელი მინიჭებული, რაც ქმნის პრობლემას ფოსტის, სასწრაფო დახმარების, პოლიციის მომსახურებაში და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტების ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამისად, სახელდების პრობლემის მოგვარების შემდგომ შესაძლებელი იქნება განხორციელდეს ნუმერაცია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, რათა პრობლემა იქნას მოგვარებული სრულყოფილად და საფუძვლიანად.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მ/წლის 3 ივნისის №-93.93221541 განკარგულებით შეიქმნა დროებითი სამუშაო ჯგუფი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული ისტორიულად ჩამოყალიბებული გეოგრაფიული ობიექტების, უბნების, ქუჩების, შესახვევებისა და ჩიხების სახელდებისათვის გეოგრაფიული ობიექტების ისტორიული დასახელების შესწავლისა და მოსახლეობის ინტერესების გამოკვეთის მიზნით.

უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წლებში შექმნილი იყო ანალოგიური სამუშაო ჯგუფი, რა დროსაც გაწეული იქნა მნიშვნელოვანი საქმიანობა საკითხის სრულყოფილად შესწავლის კუთხით:

სამუშაო ჯგუფის მიერ საქმიანობები დაიყო სამ ძირითად ეტაპად:

I ეტაპი- ძველი დოკუმენტების კვლევა, რომელიც მოიცავდა იმ ძველი დოკუმენტების მოძიებას, რომლებშიც შესაძლოა ასახული ყოფილიყო სახელდებასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ამ მიზნით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან გამოთხოვილი იქნა გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სამსახურის სახელმწიფო გეოდეზიურ- კარტოგრაფიულ ფონდში დაცული ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფლების ტოპოგრაფიული გეგმები და ტოპოგრაფიული რუკები.

II ეტაპი-ადმინისტრაციულ ერთეულებში მოქალაქეებთან შეხვედრა და სახელდებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელება.

მეორე ეტაპის ფარგლებში სამუშაო ჯგუფის წევრები ინტენსიურად ვხვდებოდით მოსახლეობას და ვაწვდიდით ინფორმაციას სამუშაო ჯგუფის საქმიანობის შესახებ, ასევე შეხვედრების დროს ვთხოვდით მოქალაქეებს გაევრცელებინათ ინფორმაცია რაც შეიძლება მეტად, რათა ყველა ადამიანი ჩართულიყო მისი ქუჩის სახელდების პროცესში და რაც შეიძლება მეტი მოქალაქის ინტერესი და აზრი

ყოფილიყო გათვალისწინებული. ამასთან, ვიღებდით ინფორმაციას კონკრეტული ქუჩის ისტორიული სახელის შესახებ, რაც მომავალში დაგვეხმარება სწორად გადავწყვიტოთ სახელდების საკითხი.

III ეტაპი-სოფელ მაწიმისა და რაჭისუბნის მოსახლეობის მიერ ქუჩებისათვის სახელის მინიჭება.

ჯგუფის საქმიანობის მესამე ეტაპზე მოხდა სოფელ მაწიმისა და სოფელ რაჭისუბნის ქუჩების სახელდების განსაზღვრა მოსახლეობის მიერ, რომელიც დაოქმდა დადგენილილ წესით.

შემდგომ ეტაპზე, ახალი სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელდა მნიშვნელოვანი აქტივობები, კერძოდ: მ/წლის 13 ივნისს ჩატარდა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა სადაც დაიგეგმა განსახორციელებელი ღონისძიებები და შეხვედრებისთვის ლოკაციები. თავდაპირველად ჯგუფის გადაწყვეტილებით შეხვედრები გაიმართა ლელიანსა და კართუბანში, ვინაიდან 2022-2023 წლებში ამ ადმინისტრაციულ ერთეულებში უნდა დასრულდეს მიწის ნაკვეთების სისტემური რეგისტრაცია, რაც კიდევ უფრო გაამარტივებს სახელდების პროცესს.

პირველი შეხვედრა ჩატარდა კართუბანში მ/ წლის 22 ივნისს, რომელსაც ესწრებოდა სოფლის აქტიური მოსახლეობა, ჩვენ მათ გავუზიარეთ ინიციატივა ქუჩების სავარაუდო სახელდებების თაობაზე და მათვე ვთხოვეთ მოსახლეობაში ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის გავრცელება. ანალოგიური შეხვედრა გაიმართა 24 ივნისს ლელიანის ადმინისტრაციულ ერთეულში. ამის შემდგომ მომზადდა მოსახლეობასთან შეხვედრების განრიგი ქუჩების მიხედვით ლელიანსა და კართუბანში.

პირველ ეტაპზე კართუბანში ჩატარდა 4 შეხვედრა სადაც მოსახლეობამ მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილებები ქუჩების სახელდებასთან დაკავშირებით.

წინა სამუშაო ჯგუფის სამთვიანი სამუშაოს ვადის ამოწურვის შემდგომ, 2022 წლის 2 სექტემბერს მორიგ საკრებულოს სხდომის გადაწყვეტილებით, სამუშაო ჯგუფს ერთი თვის ვადით გაუხანგძლივდა საქმიანობა კანონის შესაბამისად.

ამ ერთთვიან ვადაში სამუშაო ჯგუფმა შეხვედრები გამართა კართუბნისა და ლელიანის მოსახლეობასთან, რა დროსაც უკვე გადაწყვდა კონკრეტული ქუჩებისათის სახელის მინიჭების თაობაზე, კერძოდ, სოფელ კართუბანში ჩატარდა 10 შეხვედრა, სოფელ ლელიანში 10 შეხვედრა.

რაც შეეხება მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირების არსებობას და მათი პრობლემების ახლოდან გაცნობას, მე პირადად მუდმივ რეჟიმში მაქვს შეხვედრები, სხვადასხვა სოფლებში, ადგილზე ვეცნობი მათ პრობლემებს და შეძლებისდაგვარად ვეხმარები მათ მოგვარებაში, იქნება ეს სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობა, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებით სარგებლობის საკითხები, თუ სხვა ყოფითი პრობლემები.

შევსების თარიღი ---13.10.2022---

წარდგენის თარიღი ---13.10.2022---

ხელის მოწერა ---